საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქის კინოთეატრების არქიტექტურა საქართველოში

(თანამედროვეობა და საბჭოთა არქიტექტურული მემკვიდრეობა)

ნატო გენგიური

საკვანძო სიტყვები: *პოსტსაბჭოთა პერიოდი, საბჭოთა მოდერნიზმი, ქართული არქიტექტურა, კინოთეატრები თბილისში, კინოთეატრი „გაზაფხული“, კინოთეატრი „თბილისი“, სერგო დემჩინელი, გრიგოლ ჯაბუა, კონსტანტინე მემანიშვილი, რომუალდო ცუხიშვილი.*

ქართული ხელოვნება, განსაკუთრებით კი, არქიტექტურა, რომელიც საბჭთა პერიოდში შეიქმნა, საქართველოში ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თუმცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, დასავლეთში ეს ეპოქა დიდი ხანია—ინტერესს აღძრავს. ჩვენში ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს აზრს, რომ საბჭოთა ცენზურის დროს შექმნილი ხელოვნება იდეოლოგიური და მიუღებელია; საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის გაფრთხილება კი იმ ეპოქის იდეალიზებას ნიშნავს. თითქოს, ამის გამო, საბჭოთა მემკვიდრეობა არ საჭიროებდეს ყურადღებასა და მზრუნველობას. ასეთმა დამოკიდებულებამ ბევრი საინტერესო ნიმუშის განადგურება გამოიწვია და, სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

ყველაზე დიდი დარტყმის ქვეშ საბჭოთა მოდერნიზმის ნიმუშები მოექცა. არადა, სწორედ ამ ეპოქაში საქართველოში შეიქმნა არაერთი არქიტექტურულად გამორჩეული ნაგებობა, თანაც ფუნქციურად სხვადასხვა ტიპის შენობების სახით: საკონცერტო დარბაზი, კინოთეატრები, საკურორტო ზონების არქიტექტურა, რესტორნები, მეტროებისა და საბაგირო გზების სადგურები და სხვა.

ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა მოდერნიზმის ქართული არქიტექტურის საინტერესო ნაწილია კინოთეატრები, რომლებმაც, სხვებთან ერთად, დრამატული ბედი გაიზიარეს – მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დავკარგეთ. 1960-1980-იანი წლების საზოგადეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კინოში სიარულის კულტურას, ახალი ფილმის ეკრანებზე გამოსვლისთანავე ნახვას. კინოთეატრი გადაიქცა მაშინდელი სოციო-კულტურული კონტაქტების კერად, კინოში წასვლა კი, თავისებურ რიტუალად, რომელშიც მთელი საზოგადოება მონაწილეობდა. დღეს ბევრი ადამიანი იხსენებს ბავშვობის შთაბეჭდილებებს, თავისი ცხოვრების ამაღელვებელ მომენტებს, რომლებიც კინოში წასვლას უკავშირდება.

კინოთეატრის შენობის ასეთი მნიშვნელობა განაპირობებს მათი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს საზოგადოების დიდ ნაწილში, რომელიც განსაკუთრებით ამ ბოლო დროს შეინიშნება. თბილისში 30-ზე მეტი კინოთეატრი იყო, მაგრამ დღეს აქედან თითქმის აღარაფერი დარჩა. ერთი მხრივ, კინოთეატრების დახურვა ბუნებრივი პროცესია, რომელიც დრომ მოიტანა: ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ეპოქაში არ არის ამდენი კინოთეატრის არსებობის მოთხოვნილება. თუმცა, მეორე მხრივ, საზოგადოება კარგავს მნიშვნელოვან კულტურულ სივრცეებს, ქალაქის ისტორიისა და არქიტექტურისთვის კი, ზოგიერთი განსაკუთრებული ნიმუშის გაქრობა დიდი დანაკარგია.

საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქის კინოთეატრებს შორის იყო ნიმუშები, რომლებიც ინდივიდუალური შემოქმედების კარგ მაგალითებს წარმოადგენდნენ. თანაც მაშინ, როცა ტიპიზაციამ და მასობრივმა წარმოებამ მოიცვა საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად, საქართველო.

იმისათვის რომ შევაფასოთ საქართველოში აშენებული კინოთეატრების მნიშვნელობა, ის უნდა შევაფასოთ მაშინდელი არქიტექტურული მდგომარეობის ფონზე. მაშინ კი საბჭოთა კავშირში „კულტმასობრივი" მშენებლობის ბუმი იყო და ინდივიდუალიზმზე ნაკლებად იხარჯებოდნენ. კინოთეატრების მიმართულებითაც მუშავდებოდა ტიპური პროექტები, რომლებიც ადგილის თავისებურებების გაუთავლისწინებლად, ნებისმიერ რეგიონში შეიძლებოდა აშენებულიყო. პროექტები მუშავდებოდა სსრკ-ს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ინსტიტუტში, სახელწოდებით, სათეატრო-სანახაობითი საწარმოების პროექტირების ინსტიტუტი.

საბჭოთა კინოთეატრების მკვლევარი დარია ივანოვა აღნიშნავს: „საბჭოთა მოდერნიზმი – ეს არ არის მხოლოდ ისეთი კაშკაშა ნაგებობები, როგორიცაა გზათა მშენებლობის სამინისტრო საქართველოში ანდა პიონერთა სასახლე მოსკოვში. ეს არის აგრეთვე უამრავი ტიპური პროექტი, დაწყებული სკოლებითა და საბავშვო ბაღებით, დამთავრებული თეატრებითა და ცირკებით..."[1].

კინოთეატრების მასობრივი მშენებლობა ჯერ კიდევ 1940-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ეს იყო 200-300 ადგილზე გათვლილი კინოთეატრები.

პირველ–ტიპურ კინოთეატრის პროექტად ითვლება ე.წ. ლენინგრადის პროექტი, რომლის მიხედვითაც, 1950-იანი წლების ბოლოსა და 1960-იანების დასაწყისში აშენებდნენ. 1950-1960-იანი წლების მიჯნაზე, ლენინგრადში (დღეს სანკტ-პეტერბურგი), ახალი საცხოვრებელი რაიონების მშენებლობის პარალელურად, დაიწყო პირველი მასობრივი კინოთეატრების მშენებლობა. შემდგომ, ტიპური პროექტები მოსკოვისა და სხვა ქალაქებისთვისაც შემუშავდა.

საინტერესოა, რომ ამ ფონზე თბილისში აშენდა კინოთეატრების ინდივიდუალური ნიმუშები. კინოთეატრი „ნაკადული" საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე დააპროექტეს და თავისი მოდერნისტული ფასადით იპყრობდა ყურადღებას (სურ. 1). დღეს კინოთეატრის სივრცეში მაღაზიაა განთავსებული.

ქართული არქიტექტურის საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქის ნიმუში კინოთეატრი „გაზაფხული" (სურ. 3-4) თბილისელთა საყვარელი ადგილი იყო. საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტით. პოსტსაბჭოთა პერიოდში დაანგრიეს და მის ადგილას საცხოვრებელი კორპუსები აშენდა.

„გაზაფხულის" პროექტი 1958 წლის მარტშია დამტკიცებული. პროექტის მიხედვით, მისი თავდაპირველი სახელია „საბურთალო". აღმოჩნდა, რომ კინოთეატრის ავტორია სერგო დემჩინელი (1906-1968)[2], თავისი დროის ცნობილი არქიტექტორი, რომელსაც ეკუთვნის სტალინის ეპოქის არაერთი შენობა და ასევე, მეტეხის ხიდის პროექტი თბილისში.

კინოთეატრ „გაზაფხულის" არქიტექტურაში კი, ის უკვე შორდება სტალინური ამპირის სტილსა და სხვა მხატვრულ მიდგომებს, ახალ ხედვას გვიჩვენებს.

ადგილი, რომელიც კინოთეატრისთვის გამოიყო, თავისებურია და თანაც, თბილისისთვის ტიპური: ის იმ კლდის ფერდზეა, რომელიც მტკვარს გადაჰყურებს. თავისებურება კი ისაა, რომ შენობა უნდა ყოფილიყო ვიწრო, წაგრძელებულ მონაკვეთზე, ანაგის ქუჩისა (დღეს - ჟვანიას ქუჩა) და კლდის ციცაბო ფერდს შორის. არქიტექტორმა, ტერიტორიის შესაბამისი, ქუჩას გაყოლებული, ჰორიზონტალზე გადაჭიმული მინიმალისტური მოცულობა აირჩია. თან მოსაწყენი მონოტონურობაც აიცილა თავიდან: შენობა ორ, სხვადასხვა სიმაღლის მოცულობად გაჰყო (კინოდარბაზი და ვესტიბული) და ჰორიზონტალის შესამსუბუქებლად, ფასადზე, ცალ მხარეს, ბეტონის ვერტიკალური დეტალების წყება განათავსა. ეს ვერტიკალები სისადავეს ანიჭებდა არქიტექტურულ მოცულობას. ამავე დროს, ბეტონის სიმძიმეს „ფარავს", ვიზუალურად ამსუბუქებს.

1 Иванова, Типовые кинотеатры , М.., 2017, с. 8.

2 პროექტი დაცულია თბილისის არქივში

საფასადო მხარეს გამომავალი ბეტონის სახურავების ჰორიზონტალები და ვესტიბულის წინ, შესასვლელის თავზე, წამოწეული ბრტყელი ჭერი წერტილოვანი განათებით, ამ პერიოდის ქართული მოდერნისტული შენობების სახასიათო ელემენტი ხდება.

კინოთეატრ „გაზაფხულის“ არქიტექტურას სხვა ღირსებებიც ჰქონდა: აქ ჩვენ ვხედავთ ახალ მიდგომებს, მაგრამ ამასთან ერთად, ტრადიციული არქიტექტურის გათვლისწინებას მთაგორიანი ლანდშაფტის მომგებიანი გამოყენების თვალსაზრისით: კინოთეატრისთვის გამოყოფილი იყო ვიწრო ადგილი ციცაბო კლდის კიდესთან, რომლიდანაც იშლებოდა ხედი მდინარე მტკვარზე და ქალაქზე. თბილისისთვის ეს სახასიათო ლანდშაფტია. ეს გაითვალისწინა არქიტექტორმა: სერგო დემჩინელი ქალაქისთვის ბუნებრივ, ოდითგანვე ჩამოყალიბებულ პრინციპს გაჰყვა და თამამი გადაწყვეტა შემოგვთავაზა. მან კინოთეატრის ფუნქციის შენობის კომპოზიციისთვის აქამდე უცნობი მიდგომა გამოიყენა. კერძოდ, ვესტიბული ვერანდის მსგავს, ქალაქზე მთლიანად გახსნილ ღია სივრცედ გადააქცია. კინოთეატრი მდინარისკენ იმზირებოდა, ქალაქს გადაჰყურებდა, როგორც ძველ ნახატზე შემორჩენილი ქართველ მეფეთა სასახლეებისა და ძველ თბილისელ მოქალაქეთა სახლების აივნები და ბანები[3].

ნიშანდობლივი ისაა, რომ ასეთი ვესტიბული მაყურებლისთვის განსაკუთრებულ გარემოს აყალიბებდა. ეს იყო სივრცე, სადაც კინოსეანსამდე და კინოსეანსის შემდგომ დაყოვნებისთვის სასიამოვნო პირობებს ქმნიდა, სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციის, შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალებას იძლეოდა.

აქ შეუძლებელია არ შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც 1970-80-იანი წლების საზოგადოებისთვის კინოთეატრ „გაზაფხულს“ უკავშირდება. ესაა მისი სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა – კინოდარბაზი, თავისი რეპერტუარით, სხვა დარბაზებისგან განსხვავებული იყო: აქ უჩვენებდნენ უცხოურ ფილმებს, რომლებსაც სხვაგან ვერსად ნახავდით. ეს იყო არე, სადაც თითქოს შერბილდა ცენზურის შეზღუდვები. როგორც, მაგალითად, 1966 წელს მოსკოვში გახსნილ კინოთეატრ „ილუზიონში“. ის „გოსფილმფონდის“ ფილიალი იყო და იმით გამოირჩეოდა, რომ უცხოურ კინოს უჩვენებდნენ[4]. კინოთეატრი მოსკოვის ცენტრში, სტალინის პერიოდის მაღლივ შენობაში გაიხსნა ქუჩაზე, რომელზეც დედაქალაქის კულტურული და პარტიული ელიტა ცხოვრობდა (მაგალითად, ფაინა რანევსკაია და ნონა მარდუკოვა)[5]. ამ დაშვებას წინ სპეციალური სამთავრობო ბრძანება უძღოდა „გოსფილმფონდის კინოთეატრის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც, „გოსფილმფონდის“ მდიდარი კოლექციის გამოყენების მიზნით, იხსნებოდა კინოთეატრი სპეციალური ჩვენებებისთვის[6].

მალე თბილისშიც, ასეთი, შედარებით „თავისუფალი“ უცხოური ფილმების სეანსების დრო მოვიდა და ასეთ ჯადოსნურ ადგილად, სადაც „რკინის ფარდის“ იქითა სამყაროს ხილვა შეიძლებოდა, 1960-იან წლებში დიდუბეში გახსნილი კინოთეატრი „კოსმოსი“ იქცა. მერე რა, რომ კინოთეატრის სახელს „კოსმოსი“ კინოსთან კავშირში არ ჰქონდა! სამაგიეროდ, ეს მაშინ პოპულარული სახელწოდება იყო, რომელიც იური გაგარინის კოსმიურ სივრცეებში გასვლასთან ასოცირდებოდა. დღეს კი, ასე მგონია, ჩვეულებრივ საბჭოთა ადამიანის, მისთვის კოსმოსივით მიუწვდომელი სამყაროს – „რკინის ფარდის“ იქითა სამყაროში შეხედვის საშუალებას აძლევდა.

მალე კინოთეატრ „კოსმოსის“ ადგილი „გაზაფხულმა“ დაიკავა. „გაზაფხულში“ იმართებოდა კვირის კინოჩვენებები განხილვებით. კინომცოდნე გიორგი გვახარია იხსენებს: „... „გაზაფხული“ დილის ათ საათზე სრულიად სავსე იყო. ხალხი ვივიენ ლის, მარლონ ბრანდოსა და, რა თქმა უნდა, ერთმანეთის სანახავად მოვიდა. ქართველ მოქანდაკეებს, ფილოსოფო-

3 რამდენიმე წლის შემდგომ, ამ ტრადიციას აგრძელებს გიორგი ჩახავაც, რომელიც იმავე კლდის ფერდზე, კინოთეატრის გაყოლებაზე, მისგან არც თუ ისე შორს, დააპროექტებს საბჭოთა მოდერნიზმის ძალიან ცნობილ შენობას - გზათა მშენებლობის სამინისტროს (1975 წელი).

4 Кинодата. 50 лет кинотеатру «Иллюзион». Музей кино; История кинотеатра. Госфильмофонд России.

5 Известные советские кинотеатры;

6 იქვე.

სებს... ...მოსწონდათ, როგორც თავად ამბობდნენ, „მშვიდ ვითარებაში კინოს ყურება“. ... „გაზაფხული“ სწორედ ასეთი ხალხისთვის აშენდა. ისევე როგორც „გაზაფხულის“ წინამორბედი, კინოთეატრი „კოსმოსი“, რომელიც 60-იანი წლების მიწურულს გახსნეს დიდუბეში – მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო კონვენციას შეუერთდა. საბჭოთა კინოს ჩინოვნიკებმა ხელი კონვენციას კი მოაწერეს, მაგრამ ქურდობა, ე.ი. უცხოური ფილმების ასლების უკანონო ბეჭდვა მაინც ვერ მოიშალეს... ცეკას მდივნების „დაჩებზე“ ხომ ჯერ კიდევ სტალინმა დანერგა სპეცკინოსეანსების ტრადიცია... მერე სპეცსეანსებზე ნიკიტა ხრუშჩოვი გადაირია, მოგვიანებით კი – ბრეჟნევი... ვინაიდან სპეცსეანსებისთვის ქვეყანა უზარმაზარ ფულს ხარჯავდა, ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურებისთვის, გადაწყვიტეს გაეხსნათ „გოსფილმფონდის“ კინოთეატრები, სადაც დროდადრო ჩვეულებრივ მაყურებელსაც მიუგდებდნენ არალეგალურად დაბეჭდილ კინოასლებს, უჩვენებდნენ ე.წ. ნადავლ ფილმებს (დინა დურბინით და მარიკა როკით), ანდა სურათებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში ჩვენების ვადა ამოეწურათ“ [7] .

შემთხვევითი არაა, რომ წინამდებარე პუბლიკაციაზე მუშაობისას, ვისაც კი კინოთეატრი „გაზაფხული“ ვუხსენე, სახეზე ყველას სევდა გამოეხატა, ყველა გამოთქვამდა სინანულს ამ შენობის დაკარგვის გამო, რადგან მასთან მოგონებები, ცხოვრების განსაკუთრებული წუთები აკავშირებდათ, მათაც კი, ვინც ხელოვნებისგან პროფესიულად შორს დგას.

კინოთეატრი „გაზაფხული“ იყო არა მხოლოდ მხატვრულ-არქიტექტურულად საინტერესო შენობა და ეპოქის არტეფაქტი, არამედ ის კულტურული სივრცეც, რომელიც საზოგადოებისთვის „მეხსიერების ადგილად“ ჩამოყალიბდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში თბილისის ერთ-ერთმა დიდმა უბანმა – საბურთალომ ასეთი მეხსიერების ადგილი დაკარგა. ის ჩაანაცვლა კორპუსების გაბმულმა წყებამ, რომელმაც მტკვარზე ხედიც ჩაკეტა.

მსგავსი მდგომარეობაა საქართველოს სხვა ქალაქებში. მაგალითად, ბათუმში საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქაში აშენებული კიდევ ერთი კინოთეატრი დავკარგეთ. მხედველობაში მაქვს. კინოთეატრი „თბილისი“.

ზღვისპირა ქალაქ – ბათუმის ცენტრში კინოთეატრი 1960-იან წლებში აშენდა. ის ომისშემდგომი მოდერნიზმის სულში შესრულებულ სადა, სწორკუთხა არქიტექტურულ მოცულობას წარმოადგენდა. აშენებიდან მალე, მისი მთავარი ფასადი მოზაიკით შეამკეს. საინტერესოა ამ მოზაიკის თემატიკა: ცალ მხარეს, ფასადის მთელ სიმაღლეზე ვხედავთ მამაკაცსა და ქალს ბავშვით, უკან აფრიალებული წითელი ქსოვილით, რომელიც საბჭოთა წითელი დროშის ასოციაციას ბადებს და მთელი კომპოზიცია კი საბჭოთა „წმინდა ოჯახივით“ წარმოგვიდგება...

ეს იდეოლოგიური ქვეტექსტი გასაგებია, მაგრამ, რას ნიშნავს მოზაიკის ზედა არეზე კოსმოსური სამყაროს სურათი: მუქ ლურჯ ფონზე კოსმონავტები, ვარსკვლავები და ციური სხეულები? იქნებ, ისევ საბჭოთა ადამინის მიერ კოსმიური სივრცეების დაპყრობაზე მიგვანიშნებს? ანდა, იქნებ, მხატვარი თბილისის კინოთეატრ „კოსმოსის“ მაყურებელი იყო და ფარულად ეტრფოდა თავისუფალი სამყაროს კინოს?! საინტერესო ნიმუში იყო ბათუმის კინოთეატრი „თბილისიც“, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდში საბჭოთა დანატოვარის ხელაღებით უარყოფამ, მისი ბედიც განსაზღვრა: ის ჯერ გადააკეთეს, მიაშენეს, მოზაიკა მოხსნეს. შემდგომ კი სულ დაანგრიეს და ფსევდოევროპულ-ისტორიული სტილის მიბაძვით, კოშკებიანი შენობა ააშენეს.

საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, უფრო პატარა დასახლებულ პუნქტებშიც იყო საბჭოთა მოდერნიზმის ეპოქის კინოთეტრები: მაგალითად, მესტიის კინოთეატრი, რომელიც ასევე ინდივიდუალიზმით გამოირჩეოდა საფასადო მხარეს ადგილობრივი ქვის მხატვრული ეფექტებით (არქიტექტორი – კონსტანტინე მემანიშვილი).

ბოლნისში კინოთეატრის შენობა დღესაც შენარჩუნებულია, თუმცა მიტოვებულია და მოუვლელობისაგან ნადგურდება. აქ ჩვენ გვაქვს პატარა ქალაქისთვის განკუთვნილი, უბრალო, მართკუთხა მოცულობის

7 გვახარია, ცრემლიანი სათვალე, 2013, გვ. 154-155.

ნაგებობა. მისი ფასადის დიდი ნაწილი კი აქაც მოზაიკითაა დაფარული (მხატვარი: ვაჟა მშვილდაძე)[8]. თემატიკა ბოლნისის კინოთეატრზე ეროვნულია: შუა საუკუნეების ქართული კულტურის მოღვაწეს სულხან-საბას წარმოგვიდგენს, დეტალებში კი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ჩუქურთმის მოტივებიც იკითხება.

ბოლნისის კინოთეატრი ჯერ ისევ დგას და აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში საზოგადოება გააქტიურდა ამ არიტექტურისა და სივრცეების შენარჩუნების თვალსაზრისით. პროტესტმა გაიჟღერა თბილისშიც და ამას ბოლნისელი ახალგაზრდების მოძრაობაც ადასტურებს, რომლებიც შენობის გაყიდვის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ცდილობენ შეინარჩუნონ მისი პირვანდელი ფუნქცია.

ასევე შენარჩუნების, მაგრამ ფუნქციის შეცვლის გზით წარიმართა კინოთეატრის ბედი საქართველოს უძველეს ქალაქ მცხეთაში. მცხეთის კინოთეატრ „კარიბჭეს“ ჩვენ ცალკე სტატია მივუძღვენით[9]. აქ კი მოკლედ ვიტყვით, რომ ეს განსაკუთრებული პროექტია იმის გამო, რომ მცხეთის შენობა ერთადერთი კინოთეატრი აღმოჩნდა, მაშინ საბჭოთა კავშირის მასშტბით, რომელიც თავის თავში მუზეუმსაც მოიცავდა.

კინოთეატრის საძირკველის გათხრის დროს, მიწაში ძველი ნანგრევები აღმოჩნდა: ძვ. წ. მე-2 საუკუნის ნაგებობის ნაშთი – მცხეთის კარიბჭე „არაგვის კარი“. შემუშავდა ახალი პროექტი: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისა და თანამედროვე არქიტექტურის გაერთიანება იმ დროისათვის სრულიად ახალი იყო.

ორი ფუნქციის გაერთიანების ამოცანა არქიტექტორებმა (გრიშა ჯაბუა, კონსტანტინე მემანიშვილი, გიორგი ზაქარაია და ევგენი ცხაკაია) ორსართულიანობის დახმარებით გადაწყვიტეს: პირველ სართულზე, სადაც არქეოლოგიური ძეგლი იყო, სამი მხრიდან შემინული სამუზეუმო დარბაზი განთავსდა, ხოლო მეორე სართული კინოდარბაზმა დაიკავა (სურ. 8). პირველი სართული მეორეს დაუკავშირდა ხვეული კიბით, რომლის სპირალური ხვეულის მსუბუქ პროპორციებს შენობის სადა, გეომეტრიულ ფორმებში დინამიკური, ცოცხალი ნოტები შეაქვს და თან ძველთბილისური სახლების ხვეულ კიბეებს მოგვაგონებს.

მცხეთის კინოთეატრი მაშინ ახალგახსნილ მოსკოვურ კინოთეატრ „როსიასთან“ არის კავშირში. თუმცა მცხეთის შენობაში, კომპოზიციის არქიტექტურულ დეტალებში, ასევე გაფორმებაში, ჩვენ ვხედავთ ქართველი არქიტექტორების თავისუფალ მიდგომასა და ინტერპრეტაციას: პირველ რიგში, ეს განპირობებულია შენობის ისტორიულ ქალაქთან შეხამების ამოცანით. არქიტექტორები შეეცადნენ, შენობა სიმაღლეში არ ყოფილიყო აქცენტირებული, რათა არ გამხდარიყო დომინანტური გარემოში[10].

აღსანიშნავია, აგრეთვე, ბუნებრივი ქვის ფილებით მოპირკეთებული კედლები, ხის მასალის გამოყენება ინტერიერში და ასევე, დეკორატიული კერამიკული პანოები, რომლებიც, ერთი მხრივ, საბჭოთა მონუმენტალიზმის ფარგლებში ჯდება და მეორე მხრივ, ეროვნულ ხელოვნებას უკავშირდება.

კინოთეატრის პანოთაგან – ერთი მის ფასადზეა, სახელწოდებით, „საქართველო“ (სურ. 8), მეორე - „ბერიკაობა“ კი ინტერიერშია განთავსებული. პანოზე მუშაობდნენ მხატვრები: რომუალდო ცუხიშვილი, ირაკლი გაბაშვილი, ვლადიმერ გელაშვილი, როდამ მელიქიძე. ეს პანოები უკვე მაშინ შეფასდა, როგორც უნიკალური ნამუშევარი[11]. 1970-იან წლებში კერამიკული პანოებით გაფორმება ისე ფართო მოვლენა არ არის, როგორც მოზაიკა, მაგრამ საქართველოში მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია: პიონერთა ბანაკი „ცისკარი“ ცხვარიჭამიაში, გუდაურის ბელვედერის პანო, ავტობუსების გაჩერება სოფ. ბორითთან, სოფ. რუხთან[12], თბილისის მეტროპოლიტენის სადგურის „ისანი“ ინტერიერის პანო[13].

8 Palavandishvili, Prents. In: Baubezogene Kunst. 2019. S. 120.

9 გენგიური, კინოთეატრი „კარიბჭე“, 2020.

10 არქიტექტორმა კოტე მემანიშვილმა პროექტზე მუშაობა ჩვენი პირადი საუბრისას გაიხსენა.

11 *Воронов,* დასახ. ნაშ. გვ. 108

12 *Palavandishvili, Prents.* Baubezogene Kunst. 2019. S. 210-211.

13 *გენგიური,* xx საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2020; გერმანულ ენაზე: *Gengiuri.* Architektur der U-Bahn-Stationen von Tbilisi. 2020. S. 73-79.

ამჟამად მიმდინარეობს კინოთეატრ „კარიბჭის“ ორმაგი ფუნქციის შეცვლა: მიმდინარე გადაკეთება მას მხოლოდ მუზეუმად აქცევს. გადაკეთების დროს მოხერხდა შენობის ძირითადი კომპოზიციისა და მონუმენტური პანოების შენარჩუნება. ეს თანამედროვე ეპოქის კიდევ ერთი მიდგომაა საბჭოთა დანატოვარის მიმართ.

ამდენად, კინოთეატრები იმ ომისშემდგომი მოდერნიზმის (იგივე, საბჭოთა მოდერნიზმის) ეპოქის არტეფაქტებია, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ არა მარტო არქიტექტურის ისტორიის გარკვეულ ეტაპს, გარკვეულ მხატვრულ კონცეფციებს, არამედ ადამიანთა მეხსიერებასაც.

ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც ეპოქის სული, ვიზუალური სიმბოლო, მოსახლეობის კულტურული იდენტობის ნაწილი. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ, ეპოქის მიმართ უარყოფითმა დამოკიდებულებამ შეიწირა არქიტექტურის და კულტურის ისტორიისთვის გამორჩეული ნიმუშები, მათ შორის, კინოთეატრები. დღეს დამოკიდებულების ცვლილება შეინიშნება: საზოგადოების ნაწილი აცნობიერებს საბჭოთა დანატოვარის მნიშვნელობას, არის ცალკეული შემთხვევები, როცა იცვლება უფუნქციოდ დარჩენილი შენობების ფუნქცია. თუმცა, მთლიანობაში, დღემდე არსებობს საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება, რაც მიუთითებს საზოგადოების გარკვეულ დეზორიენტაციაზე და იმ დროის არქიტექტურის პროფესიული შეფასების ნაკლებობაზე. წინამდებარე სტატიის ამოცანაც ამ პრობლემის გარკვეულად დაძლევაში წვლილის შეტანის მცდელობაა, რაც მოდერნიზმის ეპოქის კინოთეატრების შესწავლის გზით განვახორციელეთ.

ლიტერატურა:

1. გენგიური ნ., ახალი მოდერნიზმი ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში, ტრადიცია და ინოვაცია – მე-20 საუკუნის ხელოვნება, ტ. VI, თბ. 2015, გვ. 202-216.
2. გენგიური ნ., კინოთეატრი „კარიბჭე“ მცხეთაში – საბჭოთა მოდერნიზმის არქიტექტურული ნიმუში, #6-7, მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, 2021 (იბეჭდება);
3. გენგიური ნ., XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა – თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები, აკადემია, #8, 2021 (იბეჭდება);
4. გვახარია გ., ცრემლიანი სათვალე, 2013.
5. Gengiuri N. Architektur der U-Bahn-Stationen von Tbilisi – Vergangenheit und Gegenwart. In: Underground Architecture revisited, Berlin, 2020. S. 73-79.
6. Palavandishvili N., Prents L. In: Baubezogene Kunst Georgien. Mozaiken und Sowjetmoderne 1960 bis 1990, Berlin, 2019.
7. Броновицкая А., Малинин Н., Казакова О., Москва. Архитектура советского модернизма 1955 – 1991 гг. Справочник-путеводитель. М.: Garage, 2016
8. Воронов Р., Р. Цухишвили – керамист, художник, педагог. Советское Декоративное Искусство, 6, 1983.
9. Гольдштейн А., Кинотеатр «Первомайский», Архитектурное творчество СССР, Вып. 2, М.: Стройиздат, 1974
10. Иванова Д., Типовые кинотеатры советского модернизма , М.., 2017.
11. Кинодата. 50 лет кинотеатру «Иллюзион». Музей кино. http://www.museikino.ru/de/media_center/kinodata-50-let-kinoteatru-illyuzion/ 2016. 03. 16;
12. История кинотеатра. Госфильмофонд России. https://web.archive.org/web/20170625112206/http://gosfilmo.mass.hc.ru/about/illuzion/history 2020. 08. 20
13. Известные советские кинотеатры снепростой судьбой, московские сезоны. https://moscowseasons.com/articles/7-izvestnykh-sovetskikh-kinoteatrov-s-neprostoi-sudboi/ 2020. 08. 20

1. კინოთეატრი „ნაკადული“. არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, გ. მელქაძე, ლ. ხარაშვილი. 1955.
NAKADULI CINEMA. ARCHITECTS: SH. KAVLASHVILI, G. MELKADZE, L. KHARASHVILI. 1955.

2. კინოთეატრი „გაზაფხული“. არქიტექტორი სერგო დემჩინელი. 1960-იანი წლები.
GAZAPKHULI CINEMA. ARCHITECT SERGO DEMCHINELI. 1960s.







3. კინოთეატრი „გაზაფხულის“ გრძივი ფასადების ნახაზები – ქუჩის მხარე, უკანა მხარე და ნახაზის ფრაგმენტი.
არქიტექტორი სერგო დემჩინელი. 1958 წლის პროექტი. თბილისის არქივი. 1958.
SKETCHES FOR GAZAPKHULI CINEMA'S LONG FAÇADES ON THE STREET SIDE, BACKSIDE AND FAÇADE DETAIL.
ARCHITECT SERGO DEMCHINELI, 1958 DESIGN. TBILISI ARCHIVES. 1958.

4. კინოთეატრი „თბილისი“ ბათუმში და მისი საფასადო მოზაიკა.
უცნობი მხატვარი. სავარაუდოდ 1970-იანი წლები.
TBILISI CINEMA IN BATUMI AND ITS FAÇADE MOSAIC.
UNKNOWN ARTIST, POSSIBLY THE 1970s.

5. კინოთეატრი ბოლნისში. მოზაიკის ავტორი ვაჟა მშვილდაძე. 1970-იანი წლები.
CINEMA IN BOLNISI. AUTHOR OF THE MOSAIC VAZHA MSHVILDADZE. 1970s.

6. კინოთეატრი „კარიბჭე“ მცხეთაში. არქიტექტორები:
გრიშა ჯაბუა, ევგენი ცხაკაია, კონსტანტინე მემანიშვილი. 1966 წლის პროექტი.
KARIBCHE CINEMA IN MTSKHETA.
ARCHITECTS GRISHA JABUA, EVGENI TSKHAKAIA, CONSTANTINE MEMANISHVILI. 1966 DESIGN.

GEORGIAN CINEMA ARCHITECTURE IN THE ERA OF SOVIET MODERNISM

(Modernity and Soviet Architectural Legacy)

Nato Gengiuri

Keywords: *Post-Soviet period, Soviet Modernism, Georgian architecture, cinemas/movie theaters in Tbilisi, Gazapkhuli cinema, Tbilisi cinema, Sergo Demchineli, Grigol Jabua, Constantine Memanishvili, Romualdo Tsukhishvili*
Illustrations: *pp.197-200*

The topic of Soviet-era Georgian arts, notably architecture, remains quite controversial in Georgia. However, the West, unlike post-Soviet countries, has long taken an interest in this era. Here, on the contrary, we are still strongly influenced by the idea that something is unacceptable simply because it was created under Soviet censorship, that cherishing Soviet-era architecture and artworks equals the idolization of that period; and, consequently, Soviet legacy can be put on the shelf. Many interesting pieces have perished because of this attitude, a process that, sadly, continues to this day. Examples of Soviet Modernism have been dealt the heaviest blow, and yet it was in Soviet Georgia that numerous architecturally exceptional examples were created in the form of buildings serving a variety of functions: concert halls, cinemas, offices, resort architecture, restaurants, subway and cableway stations, and others.

Movie theaters make up a fascinating part of the Georgian architecture in post-World War II Soviet Modernism, though they have shared the tragic fate of their counterparts—most of them have been lost. The society of the 1960s-1980s valued the culture of moviegoing, making a habit of attending film premieres. Movie theaters of that time turned into venues of sociocultural contacts, and moviegoing came across as a ritual of sorts that brought together the public at large. Today, many reminisce about childhood memories, emotional moments, linked to going to the movies.

Given the significance of movie theater buildings, their loss has been quite painful for a large segment of society, especially in the recent period. There used to be over thirty movie theaters operating in Tbilisi, though almost none has survived. On one hand, closing cinemas is a natural process, an attempt to get with the times—in the era of digital technologies and the internet, movie theaters are no longer in high demand. On the other hand, the public is losing major cultural spaces, and the disappearance of some exceptional monuments is detrimental for the city's history and architecture.

Some movie theaters from the era of Soviet Modernism represent fine examples of individualistic creative work, especially in light of the fact that, at that time, standardization and mass construction spread to cover all of the Soviet Union, including Georgia. To appreciate the value of the movie theaters built in Georgia at that time, we must consider them within the context of the then situation in architecture. And what we see in the Soviet Union of that era is a boom of mass culture construction, with far weaker emphasis on individualism. In the same vein, standardized movie theater designs were developed without giving due consideration to local characteristics, with the goal being to build them in any region with equal success. Designs were developed by the Institute for Designing Theatrical and Entertainment Facilities, an agency subordinated to the Ministry of Culture of the USSR. According to D. Ivanova, a researcher of Soviet movie theaters, "Soviet Modernism is not just lustrous buildings like the Road Ministry in Georgia or the Palace of Pioneers in Moscow. It is also a number of typical designs, from schools and kindergartens to theaters and circuses...."[1]

1 Д. Иванова , Типовые кинотеатры советского модернизма , М.., 2017, с. 8.

The mass construction of movie theaters started as early as the late 1940s. Cinemas with 200-300 seats (ill. 5) are considered the first typical examples known as the Leningrad design used in construction in the late 1950s and the early 1960s, a period when the mass construction of movie theaters started alongside residential neighborhoods. Later on, typical standardized designed were also developed for Moscow and other cities.

Interestingly, in defiance of the foregoing, individualistic examples of movie theaters were built in Tbilisi. The Nakaduli Cinema, built in the first floor of an apartment building, boasts an attractive Modernist façade (ill. 1). Presently, the facility houses a shop.

The Gazapkhuli Cinema (ill. 2-3), another Georgian architectural example from the era of Soviet Modernism, used to be favored by all in Tbilisi. Featuring quite interesting architectural approaches, it was nonetheless demolished in the post-Soviet period to build an apartment complex in its place. The design of the Gazapkhuli Cinema, initially proposed as the Saburtalo Cinema, was approved in March of 1958. As it turns out, the movie theater was authored by Sergo Demchineli (1906-1968),[2] a famous architect of his time, who designed numerous buildings of the Stalinist era, also Metekhi Bridge in Tbilisi. In the architecture of the Gazapkhuli Cinema, he deviated from the Stalinist Empire style by offering a new vision with different artistic approaches. The place allocated for the movie theater was unconventional and yet typical for Tbilisi, on a slope overlooking the Mtkvari River. The design's uniqueness lay in the fact that the building had to fit on a narrow, elongated strip between Anagi Street (presently Zhvania Street) and the steep slope. The architect opted for a minimalistic area stretching horizontally along the street, this way, among others, avoiding dull monotony, dividing the building into two parts of different heights (the auditorium and the foyer)—and, to lighten the horizontal line, placing a row of vertical concrete details on one side of the façade, an effective visual method, albeit made of concrete, to impart greater unpretentious simplicity to the structure. The horizontal concrete roof sections protruding onto the side of the façade and the flat dot-lighting roof over the entrance would go on to become characteristic features of the Georgian Modernist buildings of that time.

Other valuable characteristics of the Gazapkhuli Cinema included new approaches—which nonetheless took into account traditional architecture—designed to make good use of the surrounding landscapes. Sergo Demchineli used a natural, typical principle accepted in the city and yet offered a bold approach, one previously unknown in the quintessential composition of a movie theater building. In particular, he turned the foyer's veranda-like area into an open space displaying views of the city. The movie theater faced the river and overlooked the city, much like the porches and balconies of royal palaces surviving in antiquated paintings and of old Tbilisi resident's dwellings. A few years later, this trend continued thanks to Giorgi Chakhava who designed the celebrated Soviet Modernist building of the Road Ministry (1975) further on the same slope, not far from the movie theater. Notably, said foyer provided viewers with a special environment as a space pleasant to stay before and after screenings, to socialize, communicate, and share impressions.

We must absolutely mention one aspect of the Gazapkhuli Cinema important and dear to the society of the 1970s-1980s. It is the movie theater's sociocultural importance lying in its repertoire that was different from all other cinemas—the movie theater screened films unavailable elsewhere in town. It was a place with what seemed to be slackened censorship, similar to the Moscow Illusion Cinema built in 1966 as a special branch of Gosfilmofond to screen foreign movies.[3] This cinema opened in a Stalinist-era skyscraper in the heart of Moscow, a street populated by the capital's cultural and party elite (for example, Faina Ranevskaya and Nonna Mordyukova).[4] The permit to build it was preceded by a special governmental Decree on the Gosfilmofond Cinema allowing for opening it for special screenings using Gosfilmofond's rich collection.[5]

Soon thereafter, the time was ripe for screening more or less "frivolous" foreign movies in Tbilisi as well,

2 The design is preserved at the Tbilisi Archives.

3 Кинодата. 50 лет кинотеатру «Иллюзион». Музей кино; История кинотеатра. Госфильмофонд России.

4 Известные советские кинотеатры снепростой судьбой, московские сезоны.

5 *Ibid*.

and the Cosmos Cinema, which opened in the 1960s in Didube, emerged as one such magical venue where one could peek beyond the Iron Curtain. So what if the name *Cosmos* had nothing to do with cinematography? Instead, it was a trendy name in those days, one associated with Yuri Gagarin's space flight. Today, however, I see those things in a different light, namely that the movie theater enabled an average Soviet citizen to catch a glance of the world beyond the Iron Curtain, something as unattainable as outer space. Soon, the Cosmos Cinema was replaced by the Gazapkhuli Cinema where, as film expert Giorgi Gvakharia recalls, screenings and subsequent discussions would be held. "…. Gazapkhuli would be packed as early as 10 AM, with people flocking to see Vivien Leigh, Marlon Brando, and, of course, one another. Georgian sculptors, philosophers loved… in their own words, 'to watch movies in peace and quiet.'" Gazapkhuli was built for people like that, and so was its predecessor, the Cosmos Cinema, opened in Didube toward the end of the 1960s, back when the Soviet Union acceded to the Universal Copyright Convention. Yes, Soviet cinema officials signed the convention but never gave up on film piracy, copying foreign movies…. After all, the tradition of special screenings at Central Committee Secretaries' dachas was introduced by Stalin himself…. Next, Nikita Khrushchev became enamored with this practice, and so did Brezhnev after him…. Because the state was spending enormous funds on these special screenings, it was decided to cover the expenses, at least partially, by opening Gosfilmofond cinemas to throw a bone to ordinary viewers, that is, to allow them to watch illegal copies of foreign movies, those known as *trophy films* (starring Deanna Durbin and Marika Rökk), or those with expired screening dates.[6]

Unsurprisingly, then, everyone I interviewed for this publication had a sentimental expression on the face every time I brought up the Gazapkhuli Cinema. They were all—including those professionally uninvolved with arts—regretful of the closing of the movie theater, because their memories, special moments in life, were tied to Gazapkhuli. Besides being an exciting artistic and architectural example of its time, the Gazapkhuli Cinema was also a cultural hub defining society's *memory spaces*. In the post-Soviet period, Saburtalo, one of Tbilisi's biggest neighborhoods, lost one such memory space subsequently replaced with a series of apartment buildings lined up in a chain and blocking access to the Mtkvari River.

A similar situation is found in other Georgian cities. For example, we recently lost another movie theater from the era of Soviet Modernism in Batumi, the Tbilisi Cinema (ill. 4) built in the 1960s in the heart of this coastal city. This plain rectangular space corresponded to the spirit of postwar Modernism. Shortly after construction, its main façade was adorned with mosaics celebrating an interesting motif: on one side, the façade's entire height featured a man and woman with a child with a red cloth flying behind them to evoke associations with the Soviet flag, and the whole composition standing for a Soviet version of the Holy Family. This ideological subtext does make sense, but what about the image of the cosmos in the upper section of the mosaic, one with astronauts, stars, and celestial bodies? Does it refer to the same conquest of space by Soviet man? Or was it the artist who used to be regular at the Cosmos Cinema and a secret admirer of the free world's filmmaking? However exciting Batumi's movie theater may have been, the utter disregard for Soviet legacy in the post-Soviet period sealed its fate. At first, it was remodeled and expanded, with the mosaic removed. Eventually, it was demolished altogether and replaced with a towered structure aping the pseudo-European historical style.

Soviet Modernism-era movie theaters also operated in other Georgian regions, even in smaller settlements. The Mestia cinema, for example, boasted individualism and artistic effects using local stone for the building's façade side (architect Constantine Memanishvili). Although the building of Bolnisi's movie theater has survived, it is neglected and dilapidating. It is a simple rectangular structure designed specifically for a small town. Most of its façade is also adorned with mosaics (artist Vazha Mshvildadze)[7] with patriotic motifs, namely an image of Sulkhan-Saba, a prominent figure in medieval Georgian culture, with elements of ancient Georgian architecture and even fretwork discernable in individual details. The Bolnisi movie theater is still standing and, notably, the public has grown exceptionally active in

6 გვახარია, ცრემლიანი სათვალე, 2013, გვ. 154-155.
7 Palavandishvili, Prents. In: Baubezogene Kunst. 2019. S. 120.

terms of preserving this type of architecture and spaces. Protest has been voiced in Tbilisi, among others, as evidenced by the youth movement in Bolnisi decrying attempts to sell the building and trying to keep the structure's initial function.

Although the movie theater in Mtskheta, Georgia's oldest city, has been saved from ruin, its function has changed nonetheless. We have dedicated a separate article to the Karibche Cinema in Mtskheta.[8] Here we will only point out that the Karibche Cinema has an exceptional design in that it happened to be the only movie theater in the Soviet Union of that time to incorporate a museum. During the excavations of the cinema's foundation, ancient ruins were discovered, the remains of Mtskheta's Aragvi Gate, a 2nd-century BC structure. Consequently, a new design was developed for the movie theater—combining a monument of cultural heritage with modern architecture was something unprecedented at the time. To solve the dilemma of mixing these two functions, architects Grisha Jabua, Constantine Memanishvili, Giorgi Zakaraia, and Evgeni Tskhakaia utilized the principle of two stories: a museum hall with glass facades on three sides was arranged on the first floor where the monument of architecture had been discovered, while the second floor was reserved for a movie theater (ill. 6). A corkscrew staircase connected the floors. With its light spiraling proportions, it lent dynamic, lively overtones to the geometric shapes to resemble typical Tbilisi-style spiral staircases.

Mtskheta's movie theater had common traits with the newly opened Rossiya Cinema in Moscow, though the building in Mtskheta, and the architectural details of its composition and ornamentation, exhibit the Georgian architects' free approach and interpretation, determined primarily by the task of harmonizing the structure with the historical city. The architects tried not to accentuate the building's height to prevent it from dominating the area.[9] Equally notable is the fact that the walls feature natural stone cladding, and the interior uses wooden materials, while the decorative ceramic panels are, on one hand, typical of Soviet Monumentalism, and draw links to national art, on the other. One of the movie theater's panels, *Sakartvelo* (*Georgia*) (ill. 6), is found on the façade, and the other, *Berikaoba*, in the interior. The decorative panels, created by artists Romualdo Tsukhishvili, Irakli Gabashvili, Vladimer Gelashvili, and Rodam Melikidze, were right away hailed as unique works.[10] In the 1970s, ceramic panel decorations were not as widespread as mosaics, though they did hold a prominent place in Georgia: the Tsiskari Pioneers' Camp in Tskhvarichamia, the Belvedere Panel in Gudauri, the bus stops near the villages of Boriti and Rukhi,[11] the interior panel of Tbilisi's Isani Subway Station, to name a few.[12]

Presently, the dual function of the Karibche Cinema is under reconsideration, and the ongoing remodeling seeks to transform it solely into a museum. It has been made possible so far to keep the building's main composition and monumental panels, another modern-era approach to Soviet legacy.

In conclusion, movie theaters, as artefacts from that period, reflect not only particular stages in the history of architecture, or individual artistic concepts, but also human memory in that they embody the spirit of that era, symbolizing it visually as parts of the population's cultural identity. Since the collapse of the Soviet Union, the grudge against that period has resulted in the destruction of many excellent examples, movie theaters among them, that were vitally important to the history of architect and culture. Presently, attitude change seems to be underway, with a part of society appreciating the importance of Soviet legacy, and individual cases of changing functions of defunct buildings present. Overall, however, indifference is still strong, which is indicative of the public's disorientation of sorts and, at the same time, of a lack of professional architectural evaluations. This article seeks to attempt to overcome this problem to some extent through studying the movie theaters of the era of Modernism.

8 გენგიური, კინოთეატრი „კარიბჭე", 2020.

9 Architect Kote Memanishvili's recollections of his work on the design, as revealed in a conversation with me.

10 *Р. Воронов,* დასახ. ნაშ. გვ. 108.

11 *Palavandishvili, Prents.* Baubezogene Kunst. 2019. S. 210-211.

12 *ნ. გენგიური,* XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა, 2021; In German: *N. Gengiuri.* Architektur der U-Bahn-Stationen von Tbilisi, 2020.

REFERENCES

1. გენგიური ნ., ახალი მოდერნიზმი ქართულ საბჭოთა არქიტექტურაში, ტრადიცია და ინოვაცია – მე-20 საუკუნის ხელოვნება, ტ. VI, თბ. 2015, გვ. 202-216.
2. გენგიური ნ., კინოთეატრი „კარიბჭე“ მცხეთაში – საბჭოთა მოდერნიზმის არქიტექტურული ნიმუში, #6-7, მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, 2021 (იბეჭდება);
3. გენგიური ნ., XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა – თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები, აკადემია, #8, 2021 (იბეჭდება);
4. გვახარია გ., ცრემლიანი სათვალე, 2013.
5. Gengiuri N. Architektur der U-Bahn-Stationen von Tbilisi – Vergangenheit und Gegenwart. In: Underground Architecture revisited, Berlin, 2020. S. 73-79.
6. Palavandishvili N., Prents L. In: Baubezogene Kunst Georgien. Mozaiken und Sowjetmoderne 1960 bis 1990, Berlin, 2019.
7. Броновицкая А., Малинин Н., Казакова О., Москва. Архитектура советского модернизма 1955 – 1991 гг. Справочник-путеводитель. М.: Garage, 2016
8. Воронов Р., Р. Цухишвили – керамист, художник, педагог. Советское Декоративное Искусство, 6, 1983.
9. Гольдштейн А., Кинотеатр «Первомайский», Архитектурное творчество СССР, Вып. 2, М.: Стройиздат, 1974
10. Иванова Д., Типовые кинотеатры советского модернизма , М.., 2017.
11. Кинодата. 50 лет кинотеатру «Иллюзион». Музей кино. http://www.museikino.ru/de/media_center/kinodata-50-let-kinoteatru-illyuzion/ 2016. 03. 16;
12. История кинотеатра. Госфильмофонд России. https://web.archive.org/web/20170625112206/http://gosfilmo.mass.hc.ru/about/illuzion/history 2020. 08. 20
13. Известные советские кинотеатры снепростой судьбой, московские сезоны. https://moscowseasons.com/articles/7-izvestnykh-sovetskikh-kinoteatrov-s-neprostoi-sudboi/ 2020. 08. 20